მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

2019 წლის 9 აგვისტო

ქ. მცხეთა

,,მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის ნორმების შესრულებაზე შერჩევითი კონტროლის თაობაზე და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებაზე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის ნორმების შესრულებაზე შერჩევითი კონტროლის თაობაზე და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებაზე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №22 დადგენილება (matsne.gov.ge, 03/07/2019, 010250050.35.153.016492) .

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
დროებით მოვალეობის
შემსრულებელი — **თამაზ ფოლოდაშვილი**